პრეზიდენტი
თომას ს. მონსონი



ნაცრისფერ ფრთებიანი იადონები

თითქმის 60 წლის წინ, ჩემი ახალგაზრდობისას როდესაც ვმსახურობდი ეპისკოპოსად, ჩემ სამეურვეოში გარდაიცვალა ქვრივი, ქეთლინ მაკკი. მის მიერ დატოვებულ ნივთებს შორის იყო სამი საყვარელი იადონი. ორი მათგანი იყვნენ შესანიშნავი ყვითელი ფერის, რომლებიც ერგოთ მის მეგობრებს. მესამე ჩიტი, სახელად ბილი, იყო მოყვითალო და რუხი ფერის ფრთებით. და - მაკკიმ მომწერა წერილი: „იქნებ თქვენს ოჯახში შეიკედლოთ ეს ჩიტი. ის არ არის განსაკუთრებული სილამაზის, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე ლამაზად მღერის.”

და - მაკკიც ძალიან ჰგავდა მის ნაცრისფერ ფრთიან ყვითელ იადონს. ის არ იყო გამორჩეული სილამაზით, ტანადობით ან შთამომავლობით ნაკურთხი. ამისდა მიუხედავად მისი სიმღერა ეხმარებოდა ადამიანებს, უფრო ადვილად გადაეტანათ ცხოვრებისეული სიმძიმეები და ჰმატებდა ძალებს საქმეებისთვის.

მსოფლიო სავსეა ასეთი ნაცრისფერ ფრთიანი იადონებით. რა სამწუხაროა რომ ასეთ მცირეოდენმა ისწავლეს სიმღერა. ზოგიერთ ახალგაზრდამ, რომლებმაც არ იციან თუ ვინ არიან, როგორები შეუძლიათ ან კიდევაც სურთ რომ იყვნენ. ყველაფერი რაც მათ უნდათ არის ვინმე სხვად ყოფნა. ზოგი შეზღუდულია წლოვანების გამო, ზედმეტი ზრუნვით და უნდობლობით დამცირებული, ცხოვრებით რომელიც ბევრად ჩამორჩება მათ შესაძლებლობებს.

იმისათვის რომ ვიცხოვროთ სავსე ცხოვრებით, უნდა განვავითაროთ ჩვენში უნარი რომ გაბედულად შევეწინააღმდეგოთ პრობლემებს, იმედის გაცრუებას მხიარულებით და გამარჯვებას მოწიწებით. ალბათ თქვენ შემეკითხებით, „როგორ შევძლებთ ამ მიზნების მიღწევას?” მე გპასუხობთ, „სწორად გააზრებით იმისა, თუ ვინ ვართ ჩვენ სინამდვილეში!” ჩვენ ვართ ცოცხალი ღმერთის შვილები და ქალიშვილები, რომლის მსგავსად ვართ ჩვენ შექმნილნი. დაფიქრდით: *შექმნილები ღმერთის სახედ მსგავსად.* ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ გულწრფელად ამის რწმენას, თუ ახლებურად არ გავიაზრებთ სიმტკიცის და ძალის აზრს.

ჩვენს მსოფლიოში, ზნეობრიობა არის მეორე ადგილზე, სილამაზის და მომხიბლველობის შემდეგ. მაგრამ დიდი ხნის წინ წინასწარმეტყველს სამუელს უფალმა უთხრა: „რადგან ისე არ არის,

როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს" (1 მეფეთა 16:7).

როდესაც მხსნელი ეძებდა მორწმუნე ადამიანს, მან ის არ ამოირჩია თვითკმაყოფილი ბრბოდან, რომელიც რეგულარულად იკრიბებოდა სინაგოგაში. პირიქით, მან ამოირჩია მეთევზეებიდან, კაპერნაუმიდან. საეჭვო წარმოშობის, გაუნათლებელი, იმპულსიური სიმონი გახდა რწმენის მოციქული, პეტრე. ნაცრისფერ ფრთიანი იადონი, რომელიც აირჩია უფალმა ნდობით და ერთგული სიყვარულით.

როდესაც მხსნელი ირჩევდა გულმოდგინე და ძლიერ მისიონერს, მან ის იპოვა არა მის დამცველებში, არამედ მტრებში. საული მდევნელი იქცა პავლე მქადაგებელად.

მხსნელი ირჩევდა არასრულყოფილ ადამიანებს იმისათვის რათა ესწავლებინა სრულყოფილების გზა. ასე აკეთებდა ის ძველად. ნაცრისფერ ფრთიანი იადონებით—ასე აკეთებს ის ეხლაც. აქ ქვევით, ის მოგვიწოდებს მე და თქვენ, რომ მას ვემსახუროთ. ჩვენი თავდადება უნდა იყოს მთლიანი. თუ ბრძოლისას ჩვენ წავიქცევით, მოდით შევღაღადოთ: „ო, ღმერთო, კაცობრიობის დიდო შემქმნელო, გაგვიძღვევი წინ, რომ კვლავ ვიბრძოლოთ, გამოგვიყვანე უკუნეთიდან"[1]

მე ვლოცულობ იმისათვის რომ ჩვენ მივბაძოთ იმ გალილეველი კაცის მაგალითს, რომელის პოვნა შეიძლება ღარიბებთან, ფეხქვეშგათელილებთან, დაჩაგრულებთან და გულგატეხილებთან. დაე იმღერონ ჩვენმა გულებმა, როდესაც ვიზამთ ასე.

შენიშვნა

1. „საბრძოლო სიმღერა" იონკერსის საშუალო სკოლა.

ამ მოწოდების სწავლება

„როდესაც ასწავლით . . . , ხშირად სასარგებლოა თუ მოწაფეები ნახავენ ან მოისმენენ რაიმე განსაკუთრებულს" (*Teaching, No Greater Call* [1999], 55). იმისათვის რომ დავეხმაროთ ოჯახის წევრებს, რომ გაიგონ პრეზიდენტ მონსონის მოწოდება, სთხოვეთ რომ მოემზადნონ იმისათვის რათა გაგიზიარონ რა ისწავლეს ამ მოწოდების ერთად წაკითხვის შემდეგ. სთხოვეთ თითოეულს რომ გაგიზიარონ თუ რა არის ამ სტატიის დედააზრი. დასასრულში გაუზიარეთ თქვენი დამოწმება პრეზიდენტ მონსონის მოწოდების შესახებ.

წინასწარმეტყველის მიერ მოწოდებული, ღმერთის სიტყვის სწავლებას, შეუძლია იქონიოს ძლიერი გავლენა ჩვენს მოწაფეებზე, (იხილეთ *Teaching, No Greater Call,* 50). პრეზიდენტი მონსონი გვასწავლის, როდესაც ვიცით რომ ვართ ღმერთის შვილები, ეს გვაძლევს ძალას და სიმტკიცეს. სტატიის წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ ოჯახს რომ გაგიზიარონ თუ რა დაეხმარათ მათ ამის ხსოვნისათვის.

ახალგაზრდები

რა არის ჭეშმარიტი სილამაზე?

„პრეზიდენტი მონსონი ამ მოწოდებით გვეუბნება, „ჩვენს მსოფლიოში, ზნეობრიობა არის მეორე ადგილზე, სილამაზის და მომხიბლელობის შემდეგ." ახალგაზრდა ქალს შეიძლება მოუწიოს ბრძოლა მათ იმიჯთან რათა გახდნენ ისეთნაირი, რაც სინამდვილეში შეუძლიათ რომ იყვნენ. განვიხილოთ ჭეშმარიტი სილამაზე, უხუცესი ლინ გ. რობინსის სიტყვებით, სამოცდაათიანთა ქვორუმიდან:

- ახალგაზრდა ქალი, რომლის სახე ასხივებს ბედნიერებას და უბიწოებას, ის ბრწყინავს შინაგანი სილამაზით.
- უბიწო ღიმილი არის ჭეშმარიტი სილამაზე, რადგანაც ის ანათებს სრულიად ბუნებრივად. ამ ჭეშმარიტი სილამაზის დახატვა შეუძლებელია, ვინაიდან ის არის სულის ძღვენი.
- თავმდაბლობა, ეს არის შინაგანი სილამაზის ხილული ნიშანი და აუცილებლობა.
- თუ თქვენ გარეგნობის გამო ხართ დამწუხრებული, ეს დაგეხმარებათ დაინახოთ თქვენი თავი მათი თვალებით, ვისაც უყვარხართ. ფარულ სილამაზეს, რომელსაც ხედავენ ისინი, ვისაც უყვარხართ, შეუძლია გახდეს თქვენი სრულყოფილებისაკენ სწრაფვის საწინდარი.
- მამაკაცი, რომელსაც უნდა უბიწო ქალის ცოლად მოყვანა, ისიც ასევე „არ ხედავს" ისე როგრც ბუნებრივი კაცი ხედავს (იხილეთ 1 მეფეთა 16:7). მას იზიდავს ჭეშმარიტი სილამაზე, რომელსაც უბიწო ქალი ასხივებს, წმინდა და სიხარულით სავსე გულით. ეს მართებულია ასევე ახალგაზრდა

ქალისათვისაც, რომელიც ეძებს პატიოსან მამაკაცს.

- ჩვენი მამაზეციერი ყოველი მისი ბავშვისაგან მოელის, რომ მათ გააკეთონ სწორი არჩევანი, რაც არის ერთადერთი გზა, მარადიული ბედნიერებისა და შინაგანი სილამაზისაკენ.
- უფალთან, ადამიანები არ ეჯიბრებიან ერთმანეთს. ყველანი არიან თანაბარნი იმისათვის, რომ იქონონ სახეზე მისი იერი (იხილეთ ალმა 5:19). არ არსებობს ამაზე მეტი სილამაზე.

რათა წაიკითხოთ მოწოდება მთლიანად, იხილეთ, Lynn G. Robbins, „True Beauty," *New Era,* ნოემბერი. 2008, 30. შესაბამისი რჩევა ახალგაზრდა მამაკაცებს შეუძლიათ იხილონ, Errol S. Phippen, "Ugly Duckling or Majestic Swan? It's Up to You," *Liahona,* ოქტომბერი. 2009, 36.

ბავშვები

იმღერეთ თქვენი საყვარელი სიმღერა

ვრეზიდენტმა მონსონმა მოგვითხრო და - მაკკის სამი იადონის შესახებ. ორი მათგანი იყო მთლიანად ყვითელი ფერის. გარეგნულად სრულყოფილები! მესამე არ იყო გარეგნულად ასეთი სრულყოფილი, რადგან ჰქონდა ნაცრისფერი შეფერილობის ფრთები. მაგრამ და მაკკეის ის უყვარდა იმიტომ, რომ ის, ძალიან ლამაზად მღეროდა.

ზოგიერთი ადამიანები ფიქრობენ, რომ არ არიან სხვებივით მიმზიდველები და ჭკვიანები. მაგრამ უფალისთვის ყოველი პიროვნება ძვირფასია. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ რწმენით აღსავსე და მამაცნი იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი ნიჭი და ვემსახუროთ მოყვასს. ჩვენ მაშინ ვიქნებით, როგორც ნაცრისფერ ფრთიანი იადონები. ჩვენ არ ვართ სრულყოფილები, მაგრამ ვგალობთ ჩვენს საყვარელ სიმღერას.

ჩამოწერეთ სამი გზა, თუ როგორ შეგიძლიათ იმღეროთ თქვენი საყვარელი საგალობელი უფლისათვის.

მე შემიძლია ვიმღერო ჩემი უტკბილესი საგალობელი უფალისთვის ასეთნაირად:

1. _____
2. _____
3. _____

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, June 2010.* Georgian 09366 131

ზიარებით აღთქმების განახლება

ასწავლეთ ეს წმინდა წერილები და ციტატები ან საჭიროებისამებრ სხვა პრინციპები, რომლებიც დალოცავენ იმ დებს, ვისთანაც სტუმრად მიდიხართ. გაუზიარეთ თქვენი დამოწმება მოძღვრებაზე. გაკვეთილის დროს, სთხოვეთ, მათაც ვისაც სტუმრობთ რომ გაგიზიარონ თუ რა იგრძნეს და ისწავლეს.

ზიარება დაარსა იესო ქრისტემ

„აიღო პური იესომ და აკურთხა, გატეხა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: მიიღეთ (მათე. 26:26). ეს არის ჩემი ხორცი, რომელიც მოგეცათ თქვენ. ეს ჰყავით ჩემს მოსახსენებლად. (ლუკა 22:19). ასეთნაირად მან აიღო თასი, ტრადიციულად წყლით გაზავებული ღვინით, სამადლობელოდ დაილოცა და გადასცა სუფრაზე მის გვერდზემსხდომთ, სიტყვებით: ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მისატევებლად. ეს გააკეთეთ ჩემს მოსახსენიებლად. . . .

„გეთსიმანიის ბაღისა და გოლგოთის წინ, ზედა ოთახის ამბავის შემდეგ, აღთქმის შვილებმა დადეს აღთქმა, რომ ეხსომებოდათ ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლი, ასეთი ამაღლებული, ყველაზე წმინდა, პირადი და ახლებური გზით.”[1]

უხუცესი ჯეფრი რ ჰოლანდი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

ზიარების დროს, ჩვენ ვანახლებთ ჩვენს მიერ ნათლობისას მიღებულ აღთქმებს

„როდესაც ვინათლებით, ჩვენ თავზე ვიღებთ, იესო ქრისტეს წმინდა სახელს. მისი სახელის ჩვენს თავზე აღება, არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, ჩვენს ცხოვრებაში. . . .

„ყოველ კვირას ზიარების დროს, ჩვენ პირობას ვდებთ, რომ გვეხსომება მხსნელის გამომსყიდველი მსხვერპლშეწირვა და ასევე ვანახლებთ ნათლობისას მიღებულ აღთქმებს. ჩვენ პირობას ვდებთ, რომ გავაკეთებთ ისე, როგორც გააკეთა მხსნელმა—ვიქნებით მორჩილნი მამისადმი და ყოველთვის დავიცავთ მის მცნებებს. კურთხევა რომელსაც ჩვენ მივიღებთ არის იმისათვის, რომ მისი სული მუდმივად იქნება ჩვენთან.”[2]

უხუცესი რობერტ დ. ჰეილსი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან.

შინა მასწავლებლის დასახმარებლად

როდესაც დას ეწვევით ან მის ოჯახს გასაცნობათ, შეეცადეთ მოძებნოთ საშუალება რომ მან მიიღოს ზიარება და განაახლოს აღთქმები. თუ ის არ ესწრება ზიარებას, შეგიძლიათ თუ არა შესთავაზოთ მათ დასწრება ან ამისათვის დახმარება, (ტრანსპორტით, ძიძა ბავშვებისათვის მოსავლელად და ა.შ.)?

პირადი მომზადება

ლუკა 22:19–20
3 კორინთელთა 11:23–28
3 ნეფი 18:1–12

„მე ვიყავი, რვა წლის გოგოსთან მისი ნათლობის დღეს. ნათლობის შემდეგ მან სთქვა, მტკიცე რწმენით: უკვე მთელი დღე ვარ მონათლული და ჯერ არცერთხელ არ შევსცოდე! მაგრამ მისი უცოდველი დღე, მუდმივად არ გაგრძელბულა და ის უკვე სწავლობს ისე როგორც ჩვენ ყველა, როგორც არ უნდა ვეცადოთ, ჩვენ ვერ ავიცილებთ ცუდ სიტუაციებს და ყოველ ცუდ არჩევანს” . . .

“. . . დამოუკიდებლად, ჩვენ თვითონ ვერ შევძლებთ, რეალურად ჩვენი თავის შეცვლას. ჩვენი პირადი ნებისყოფა და კეთილი განზრახვები არის საკმარესი. როდესაც ვუშვებთ შეცდომებს ან ვაკეთებთ

არასწორ არჩევანს, ჩვენ გვჭირდება მხსნელის დახმარება, უკან სწორ გზაზე დასაბრუნებლად. ჩვენ ვიღებთ ზიარებას ყოველ კვირას იმისათვის, რომ გამოვავლინოთ მის ძალისადმი ჩვენი რწმენა, რათა მან ჩვენ შეგვცვალოს. ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს და პირობას ვდებთ, რომ აღარ შევცოდავთ."[3]

ჯულია ბ. ბეიქი, ხსნის საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი.

მენიშვნები

1. ჯეფრი რ. ჰოლანდი, "This Do in Remembrance of Me," *Ensign,* ნოემბერი. 1995, 67.
2. რობერტ დ. ჰეილსი "The Covenant of Baptism: To Be in the Kingdom and of the Kingdom," *Liahona,* იანვარი. 2001, 8.
3. ჯულია ბ. ბეიქი, "Remembering, Repenting, and Changing," Liahona, მაისი 2007, 110–11.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამოკიდებულია 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, June 2010.* Georgian. 09366 131